UNITED NATIONS
HUMAN RIGHTS
OFFICE OF THE HIGH COMMISSIONER

ჩემი საარჩევნო უფლება და თვითადვოკატირება

იოლად საკითხავი

2025 წელი

დოკუმენტი მომზადდა საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაციის მიერ გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის (UN OHCHR) ფინანსური მხარდაჭერით.

დოკუმენტის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაცია და მასში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა, არ ასახავდეს გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის შეხედულებებს.

რას ეხება ეს სახელმძღვანელო

	ეს სახელმძღვანელო გვასწავლის არჩევნებში მონაწილეობის უფლებას და ამ უფლების დაცვას.
	გაიგებ, რა არის არჩევნები.
	გაიგებ, რატომ არის მნიშვნელოვანი არჩევნებში მონაწილეობა.
	ისწავლი, არჩევნებთან დაკავშირებულ ახალ სიტყვებს და ტერმინებს.
	გაიგებ, როგორ უნდა დაიცვა არჩევნებში შენი მონაწილეობის უფლება.

სიტყვათა განმარტება

	არჩევნები – როდესაც ხალხი ირჩევს იმ ადამიანებს, რომლებიც იღებენ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს და მართავენ ქვეყანას.
	დემოკრატია - ხალხი თავად ირჩევს მმართველებს. ხალხის არჩეულმა მმართველმა ხალხის ინტერესების მიხედვით უნდა მიიღოს გადაწყვეტილებები.
	საარჩევნო უფლება - თითოეულ მოქალაქეს შეუძლია არჩევნებში მონაწილეობა. შენ ირჩევ ადამიანებს, რომლებმაც გინდა, რომ ქვეყანა მართონ.
	სამართლიანობა - როდესაც ყველა ადამიანს აქვს თანაბარი უფლებები და შესაძლებლობები.
	მოქალაქე - ადამიანი, რომელიც ცხოვრობს ქვეყანაში, იცავს ამ ქვეყნის კანონებს და მონაწილეობს არჩევნებში.
	წარმომადგენელი - ის, ვინც რაიმე ჯგუფის, ორგანიზაციის ან კერძო პირის სახელით მოქმედებს და მის ინტერესებს იცავს.

	თვითადვოკატირება - საკუთარი ინტერესების დაცვა. თვითადვოკატი საკუთარ უფლებებს თვითონ იცავს.
	კონსტიტუცია - ქვეყნის მთავარი კანონების ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოს მოწყობის წესებს.
	საარჩევნო უფლება - თითოეულ მოქალაქეს შეუძლია მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში და აირჩიოს თავისი წარმომადგენლები.
	საარჩევნო ადმინისტრაცია - აწყობს და ატარებს არჩევნებს.
	გადაწყვეტილების მიმღები - ადამიანი ან ორგანიზაცია, რომელიც იღებს გადაწყვეტილებებს სხვადასხვა საკითხებზე. ეს შეიძლება იყოს სახელმწიფო ორგანო, მმართველი უწყება, კომიტეტი.

	ინკლუზია - ყველა ადამიანს აქვს თანასწორი უფლებები და შესაძლებლობები. ადამიანები განსხვავდებიან, მაგრამ ყველას ერთი და იგივე უფლებები აქვთ.
	**დაბრკოლება** - დაბრკოლებები არის ბარიერები, რომლებიც გიქმნის სირთულეებს.
	დაბრკოლება შეიძლება იყოს ფიზიკური, ემოციური, სოციალური ან სხვა ტიპის სირთულე, რომელიც ხელს უშლის ადამიანს ან ჯგუფს მიზნის მიღწევაში.
	პოლიტიკა - ქვეყნის მართვა. პოლიტიკა განსაზღვრავს, როგორ უნდა იმუშაოს სახელმწიფომ და როგორ უნდა გადაწყდეს საზოგადოების პრობლემები.
	კამპანია - მოქმედება, რომელიც მიზნად ისახავს კონკრეტული მესიჯის გავრცელებას ან ცვლილებების მოტანას (მაგალითად, ჭრელი წინდების კამპანია 21 მარტს).

რატომ არის მნიშვნელოვანი არჩევნებში მონაწილეობა ?

	არჩევნებზე შენ ირჩევ ადამიანებს, რომლებიც შენ წარმოგადგენენ, იცავენ შენს უფლებებს და ინტერესებს.
	დემოკრატია და არჩევნები ერთმანეთთან დაკავშირებულია. დემოკრატიის გარეშე თავისუფალი არჩევნები არ არსებობს.
	საარჩევნო უფლება მნიშვნელოვანია. ყველა ადამიანს შეუძლია აირჩიოს თავისი წარმომადგენელი.
	არჩეულმა წარმომადგენელმა უნდა მიიღოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები და დაიცვას ხალხის ინტერესები.
	დემოკრატიულ ქვეყანაში არჩევნები ქმნის სამართლიანობას. თითოეული მოქალაქის ხმა ერთნაირად მნიშვნელოვანია.

	არჩევნებში მონაწილეობით ყველას შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის მართვაში.
	არჩევნები არის კარგი საშუალება მოქალაქეებმა გააკონტროლონ ხელისუფლების საქმიანობა.
	არჩეული ადამიანები ვალდებულები არიან მოქალაქეებს აუხსნან თავისი საქმიანობის შესახებ.
	როდესაც არჩეულმა პირებმა იციან, რომ ხალხს შეუძლია მათ ნაცვლად სხვებიც აირჩიონ, ისინი უკეთ იმუშავებენ და დაიცავენ ხალხის ინტერესებს.
! გახსოვდეთ	მხოლოდ არჩევნები ვერ შეცვლის ყველაფერს, მაგრამ თუ არ იქნება არჩევნები, ვერაფერი შეიცვლება.

რატომ უნდა ვიყოთ თვითადვოკატები ?

	საქართველოს კონსტიტუციით, მოქალაქეებს 18 წლიდან აქვთ უფლება მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში და თავისუფლად გამოხატონ თავისი აზრი.
	თუმცა, ჯერ კიდევ არსებობენ ადამიანები, რომლებიც ვერ ახერხებენ საარჩევნო უფლების სრულად გამოყენებას.
	თვითადვოკატირებით შენს უფლებებს იცავ შენ თვითონ.
	ეს ნიშნავს, რომ ადამიანი იცნობს თავის უფლებებს და შეუძლია თავისი უფლებების დაცვა.
	თვითადვოკატი აქტიურად მონაწილეობს გადაწყვეტილებების მიღებაში და თვითონ იღებს გადაწყვეტილებებს.
გახსოვდეთ	თვითადვოკატირება არ შეეხება მხოლოდ ერთ ადამიანს. ის ემსახურება ჯგუფის საერთო ინტერესებს და მიზნად ისახავს ისეთი გარემოს შექმნას, რომელიც სასარგებლო იქნება ყველასთვის.

	თვითადვოკატირება ნიშნავს, რომ ადამიანები, რომელთაც ერთი და იგივე ინტერესები და საჭიროებები აქვთ, ქმნიან საერთო ჯგუფებს.
	ეს ჯგუფები მუშაობენ მიზნების მისაღწევად.
	თვითადვოკატირების მიზანია შეცვალოს კონკრეტული პოლიტიკა ან მიდგომები.
	თვითადვოკატები გავლენას ახდენენ გადაწყვეტილების მიმღებ პირებზე, ხმამაღლა გამოთქვამენ თავის შეხედულებებს და ელაპარაკებიან პოლიტიკოსებს.
	თვითადვოკატირებით შეგიძლია არჩევნებში შენი მონაწილეობის უფლება დაიცვა.

როგორ დავიცვა არჩევნებში მონაწილეობის უფლება

	არჩევნებში მონაწილეობის უფლების დასაცავად შეგიძლია:
	მოძებნო საერთო ინტერესებისა და საჭიროებების მქონე ადამიანები.
	ზუსტად გაარკვიო რა ახდენს გავლენას შენს უფლებებზე. რა გიქმნის ბარიერებს.
	დასახო გეგმა: როგორ გადაჭრა პრობლემები. უპასუხო კითხვებს: რა ცვლილებები გჭირდება? როგორ აღწევ ამ ცვლილებებს?
	დაიწყო მუშაობა პრობლემის მოსაგვარებლად.